

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
ბ.იმნაიშვილის ანგარიშის მოსმენის სხდომის**

**ოქმი**

2017 წელი, 1 თებერვალი  
დაბა ურეკი  
14.30-15.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-დ.კვერღელიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე-ტ.აროშიძე.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე -დ.დარჩია მიესალმა და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და განსაკუთრებით, ამომრჩევლებს, რომლებიც ინტერესდებიან მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებით და იჩენენ აქტიუობას, აღნიშნა, რომ დაიწყო საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ამომრჩევლებისათვის ჩაბარება, განაცხადა, რომ ბ.იმნაიშვილი არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საკრებულოს წევრი, აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციის, კომისიების მიერ პრობლემატური საკითხების განხილვაში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ბ.იმნაიშვილმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის N131 მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ 2016 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქციის, კომისიების სხდომებზე და ამომრჩევლებთან შეხვედრებზე გაწეული მუშაობის ანგარიში.

ამომრჩევლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისაგან ითხოვეს რამდენიმე პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში დახმარება:

ე.წ.ზედა ურეკის მოსახლეობამ-რკინიგზაზე ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელის მოწყობა, კანალიზაციითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფა(საკურორტო ზოლში მიმდინარე მშენებლობის პროექტში ჩართვა), გაზიფიკაციის პროექტში ჩართვა, მეწყერსაშიში ზონის გამაგრება, ეს პრობლემები გადასაჭრელია წვერმაღალის დასახლებაშიც, მოსაგვარებელია დამისამართების საკითხიც,გაფართოებას საჭიროებს დაბაში არსებული საბავშვო ბაღიც, საკურორტო სეზონამდე აუცილებელია გაზსადენისა და წყალ-კანალიზაციის სამუშაოებით დაზიანებული გზების რეაბილიტაცია და ე.წ.შემოვლითი გზის აშენება.


სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტი გაუწევს დახმარებას არსებული პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დ.კვერღელიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია მოსახლეობამც იცოდეს რომელი პრობლემის გადაჭრა შეუძლია

მუნიციპალიტეტს საკუთარი ძალებით და რომელი არ შედის მის კომპეტენციაში, მაგალითად გაზიფიკაციის პრობლემას იგი ვერ გადაწყვეტს, რადგან მას ახორციელებს კერძო კომპანია, რომელსაც ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სახელმწიფოსთან. ადგილობრივი გზები, წყლით მომარაგება მისი ფუნქციაა, მაგრამ ძვირადღირებულია და ეტაპობრივად უნდა გადაიჭრას. პლაჟის დასუფთავება, განათების მოწესრიგებაც მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს, საერთოდ კურორტი ურეკი მუნიციპალიტეტის შემოსავლების ერთ-ერთი სერიოზული წყაროა და მის განვითარებასა და კეთილმოწყობაზე ყველამ უნდა იზრუნოს.

ამომრჩევლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს მაღლობა გადაუხადეს ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და გამოთქვეს აზრი საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად, რომელსაც სხდომის თავმჯდომარემ და სხდომამც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო